„დამტკიცებულია„
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“
აქციონერთა საერთო კრების მიერ 2012 წლის 1 დეკემბრის ოქმი N1

შეტანილია ცვლილებები და დამატებები
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“
აქციონერთა მორიგი საერთო კრების მიერ 2019 წლის 23 აგვისტოს ოქმი N9 დანართი N4

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
„მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

კორპორაციული ეთიკის შესახებ
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი
2019

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის" (შემდგომში მისო) „კორპორაციული ეთიკის შესახებ" დებულება (შემდგომში დებულება) შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების, მისოს წესდების და კორპორაციული ეთიკის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

1.2. დებულება განსაზღვრავს ფასეულობების და ქცევის ნორმების სისტემას, ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება მისო თავის საქმიანობაში.

1.3. დებულების მიზანია მისოში მაღალი ეთიკური ქცევის დამკვიდრება ყოველდღიური საქმიანობის პრაქტიკაში, კორპორაციული ქცევის ტრადიციებისა და საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო სტანდარტების დანერგვა, რაც გულისხმობს საყოველთაოდ აღიარებული მორალური წესებისა და ზნეობრივი ნორმების შესაბამისად მოქმედებას და ეთიკური ქცევის წახალისებას.

1.4. დებულება ეხმარება მისოს აქციონერებს, ადმინისტრატორებსა და თანამშრომლებს (შემდგომში მონაწილეებს) არეგულირონ თავიანთი ქცევა ყოველდღიური საქმიანობის იმ სფეროებში, რომლებიც არ არის რეგლამენტირებული კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და კორპორაციული პროცედურებით და სადაც პოტენციურად შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტების წარმოქმნა.

1.5. კომპანიის ყველა მონაწილეს ევალება დაიცვას წინამდებარე დებულება, პატივი სცეს მის სულისკვეთებას და იმოქმედოს აღნიშნული დებულების შესაბამისად, როგორც მისოს შიგნით, ასევე მესამე მხარესთან ურთიერთობაში.

მუხლი 2. ძირითადი პრინციპები

2.1. მისოს საქმიანობა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

2.1.1. მომხმარებელთან ურთიერთობა - კმაყოფილი მომხმარებელი მისოს წარმატების გარანტი:

2.1.1.1. მომხმარებლებთან კეთილსინდისიერი, სამართლიანი, გამჭვირვალე და თავაზიანი მიდგომა;

2.1.1.2. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი, კეთილგანწყობილი, სწრაფი და მომხმარებლის საჭიროებაზე მორგებული მომსახურების შეთავაზება;

2.1.1.3. მომხმარებელთან გრძელვადიანი, ურთიერთსანდო, ორმხრივად მომგებიანი და სასარგებლო ბიზნეს ურთიერთობის დამყარება;

2.1.1.4. პროდუქტის და მომსახურების შესახებ დროული, ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება;

2.1.1.5. მომხმარებლის დროული ინფორმირება მომსახურების გაწევის პირობების ან წესების ცვლილებების შესახებ;

2.1.1.6. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა - სამიზნე ჯგუფებისთვის ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომხმარებლის კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობების შექმნა, მათთვის ცოდნის გაზიარება;

2.1.1.7. მომხმარებლის კმაყოფილების პრიორიტეტულობა. თითოეული მომხმარებლის საჭიროების იდენტიფიცირება და დროული გადაწყვეტა. მისოს მიმართ წარმოქმნილი ნებისმიერი საჩივრისა და პრეტენზიის ჯეროვანად, ყურადღებით და დროულად განხილვა;

2.1.1.8. მომსახურების გაწევა განურჩევლად სოციალური, რასობრივი, ნაციონალური, ენობრივი, რელიგიური და ა.შ. კუთვნილებისა, აგრეთვე, სქესის, საცხოვრებელი ადგილის, საზოგადოებრივ გაერთიანებებში მონაწილეობის და ა.შ. მიუხედავად;

2.1.1.9. მომხმარებელთან დაკავშირებული საქმიანი და პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა;

2.1.1.10 მომხმარებლების ინფორმირება მისოს მიერ დაგეგმილი გარემოს დაცვითი აქტივობებისა და ინიციატივების შესახებ.

2.1.2. თანამშრომლებზე ორიენტაცია - მისოს წამყვანი ძალა და ფასეულობა:

2.1.2.1. თანამშრომლებისადმი პატივისცემა, ღირსეული მოპყრობა და სათანადო დაფასება;

2.1.2.2. თანასწორუფლებიანობა, ყველა თანამშრომლის მიმართ თანაბარი სამართლიანი და ობიექტური მიდგომა, შეფასების და დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობა;

2.1.2.3. სტაბილური, მუდმივ განვითარებაზე და პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული სამუშო პირობების შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სოციალურ კეთილდღეობას;

2.1.2.4. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

2.1.2.5. თავისუფალი სამუშაო გარემო ყოველგვარი სახის შევიწროვების, ჩაგვრის, დისკრიმინაციის და სხვა ტიპის არასათანადო ქცევებისგან;

2.1.2.6. შრომის თანასწორი ანაზღაურების პოლიტიკა, სამსახურში მიღების გენდერულად მგრძნობიარე პრაქტიკა, მიზნობრივი დასაქმების პროგრამები და მარკეტინგის ისეთი პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც გენდერულ სტერეოტიპებს უპირისპირდება;

2.1.2.7. თანამშრომლების ჩართვა გარემოსდაცვით აქტივობებში, მათი ინიციატივების განხილვა და განხორციელება;

2.1.2.8. თანამშრომლების ჩართვა ცოდნის და გამოცდილების გაზიარების პროგრამებში.

2.1.3. პროფესიონალიზმი და პატიოსნება - რეპუტაცია მისოს მთავარი აქტივი:

2.1.3.1. სამართლიანად და კეთილსინდისიერად მოქმედება და მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა;

2.1.3.2. დამოუკიდებლობა და ობიექტურობა;

2.1.3.3. ნაკისრი ვალდებულებების უპირობო შესრულება და მომსახურების მაღალი ხარისხი;

2.1.3.4. პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილებებისა და შესრულებული სამუშაოს შედეგსა და ხარისხზე;

2.1.3.5. ჯანსაღი კონკურენციის, თავისუფალი და სამართლიანი შეჯიბრებითობის ხელშეწყობა;

2.1.3.6. კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მხოლოდ კანონიერი და ეთიკური საშუალებებით მოპოვება;

2.1.3.7. პროფესიული საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

2.1.3.8. საეჭვო რეპუტაციის მქონე პირებთან საქმიან ურთიერთობაზე ნებაყოფლობითი უარის თქმა.

2.2. მისო თავის საქმიანობაში გამორიცხავს:

2.2.1. მოქმედი კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების დარღვევას;

2.2.2. სამართლის ნორმების ბოროტად გამოყენებას;

2.2.3. ვისიმე კანონიერი უფლებების, კანონიერი ინტერესებისა და ღირსების ხელყოფას;

2.2.4. უკანონო ან არაზნეობრივ აქციებში, სოციალურად სახიფათო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობას;

2.2.5. კლიენტებისა და საქმიანი პარტნიორების რეპუტაციის დამაკნინებელი ინფორმაციის გავრცელებას;

2.2.6. ძალისმიერი და სხვა უკანონო ან არაზნეობრივი მეთოდებით, საქმიანობის წარმოებასა და კონფლიქტური საკითხების გარჩევას;

2.2.7. კლიენტებისა და საქმიანი პარტნიორებისათვის დაუსაბუთებელი და კანონით გაუთვალისწინებელი პრივილეგიებისა და შეღავათების გაწევას;

2.2.8. საქმიანობას პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ.

მუხლი 3. ურთიერთობა მომხმარებლებთან

3.1. მისოს საქმიანობაში მთავარი ადგილი უჭირავს მისოს მომხმარებელს. მისოს ბიზნეს საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს წარმოადგენს გამჭვირვალობა, შეთანხმებული და ერთიანი მოქმედება. მისო ემსახურება მომხმარებლების ნდობას და ზრუნავს აღნიშნული ნდობის შენარჩუნებაზე, სწრაფი რეაგირებისა და მომხმარებლისთვის ოპტიმალური გამოსავლის შერჩევის გზით.

3.2. მისო ზრუნავს მომხმარებლისა და სხვა ტიპის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვაზე, ქურდობის, გაუფრთხილებლობით გამჟღავნებისა და ბოროტად გამოყენებისგან. მისოს ზედმიწევნით იცავს კანონმდებლობისა და სხვა რეგულაციების მოთხოვნებს, რომელთა მიზანია მისოს მომხმარებლებისა და მთელი ეკონომიკის დაცვა, თაღლითობისა და არაკეთილსინდისიერი ბიზნეს საქმიანობისგან.

3.3. მისოს თითოეული თანამშრომელი ვალდებულია იყოს ყურადღებიანი, სამართლიანი და მომთმენი მომხმარებლის მიმართ.

3.4. თანამშრომელმა მომხმარებელთან უნდა ჩამოაყალიბოს საქმიანი, სანდო და კეთილგანწყობილი ურთიერთობა.
3.5. დაუშვებელია მომხმარებელთან როგორც უსიამოვნო და ქედმაღლური, ისე ზედმეტად ახლო ურთიერთობის დამყარება.
3.6. მომხმარებელთან ურთიერთობაში სასტიკად აკრძალულია მომხმარებლის შეურაცხყოფა, მომხმარებლისგან ნებისმიერი სახის მორალური ან მატერიალური ვალდებულების აღება: ძვირადღირებული ნებისმიერი საჩუქრის ან სხვა ფორმის სარგებლიანი მომსახურების მიღება.
3.7. მომხმარებელთა ურთიერთობაში უნდა გამოირიცხოს პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური, ნაციონალური, სქესობრივი ან რაიმე სხვა სახის დისკრიმინაცია.

მუხლი 4. ურთიერთობა მონაწილეებთან

4.1. მისოს მონაწილეთა ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს პატივისცემას, ზრდილობის ნორმებსა და პატიოსან მოპყრობას. დაუშვებელია დისკრიმინაციისა და დევნის ნებისმიერი ფორმა.
4.2. მისოს თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას მისოს მონაწილეებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
4.3. სამსახურში მიღებისას, თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისა და მათი თანამდებობრივი ზრდის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, უნდა გამოირიცხოს პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური, ნაციონალური, სქესობრივი ან რაიმე სხვა სახის დისკრიმინაცია.
4.4. განუხრელად უნდა სრულდებოდეს თანამშრომლების მიმართ მოქმედი კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
4.5. მისო აგებს ურთიერთობას თანამშრომლებთან ინტერესების ურთიერთპატივისცემის, უფლებებისა და ვალდებულებების ბალანსის დაცვის საფუძველზე, მოქმედი შრომითი კანონმდებლობის დაცვით.
4.6. ამ პრინციპების უზრუნველსაყოფად მისო თანამშრომლებისგან მოითხოვს:

4.6.1.მისოს შინაგანაწესის დაცვას;
4.7.2. მათი პირადი სამსახურეობრივი მოვალეობების კეთილსისინდისიერ შესრულებას;
4.7.3. დავალებების მიმართ შემოქმედებით და ინიციატივიან მიდგომას;
4.7.4. კომერციული საიდუმლოს დაცვას;
4.7.5. პროფესიული დონის მუდმივ ამაღლებას;
4.7.6. მისოს ქონებისადმი ფაქიზ და მზრუნველ დამოკიდებულებას;
4.7.7. კორპორაციული კულტურის დაცვას.

4.8. აქციონერების წინაშე მისო თავს ვალდებულად თვლის:

4.8.1. უზრუნველყოს აქციონერების თანაბარი უფლებები მისოს მართვის პროცესში;
4.8.2. არ დაუშვას აქციონერების უფლებების ხელყოფა;
4.8.3. მიაღწიოს მაქსიმალურ გამჭვირვალობას მისოს მმართველობითი ორგანოების მუშაობაში.

<u>4.9. ძალადობისგან და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემო.</u> მისო მკაცრად რეაგირებს სამუშო ადგილზე დაშინების, მუქარის, ფიზიკური ანგარიშსწორების ან/და დისკრიმინაციის რაიმე ფორმით გამოვლინების ფაქტზე, სათანადოდ იძიებს ამგვარ ქმედებას და ახორციელებს შესაბამის რეაგირებას. არცერთი თანამშრომელი, მიუხედავად მისი თანამდებობისა ან მისოში მუშაობის სტაჟისა, არ სარგებლობს განსაკუთრებული პრივილეგიით. მისოს დამოკიდებულება შეურიგებელია დისკრიმინაციის და ძალადობის ფაქტების მიმართ, როგორც განმახორციელებელი პირების, ასევე იმ პირების მიმართ, ვისი მიზეზით, დახმარებით, მითითებითაც მოხდა აღნიშნული დისკრიმინაციის ან ძალადობის ფაქტი.
<u>4.10. ნარკოტიკული საშუალებებისგან თავისუფალი სამუშო გარემო.</u> მონაწილეებს ეკრძალებათ ალკოჰოლისა და კონონით დაშვებული თუ კანონით აკრძალული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ფლობა, გავრცელება, წარმოება, გაყიდვა, გაყიდვის მცდელობა, ან აღნიშნული ნივთიერებების მოქმედების ქვეშ ყოფნა მისოს შენობაში ყოფნისას, საქმიანობის განხორციელებისას ან მისოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების მართვისას.

მუხლი 5. ურთიერთობა სახელმწიფოსთან

5.1. მისო ემორჩილება საქართველოს კანონმდებლობას და იხდის გადასახადებს სრულად და დროულად.
5.2. მისო იცავს ეროვნული ბანკის ყველა რეგულაციას და საქართველოს კანონმდებლობას.

5.3. მისოსთვის მნიშვნელოვანია ფინანსურ სექტორში საქმიანი რეპუტაციის განმტკიცება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის აღკვეთის გზით. მისო აწარმოებს მომხმარებლების, პოტენციური მომხმარებლების და კონტრაქტორების სკრინინგს, იმისათვის რომ მისოს პროდუქტები და მომსახურება არ იქნას გამოყენებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, ან ტერორისტული ქმედებების ხელშეწყობის მიზნით.

5.3. მისო ცდილობს დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები სამთავრობო ხელისუფლებასთან, არ ახორციელებს მთავრობის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას, არ ახდენს ქრთამის გადახდას, მიღებას ან შუამდგომლობას ნებისმიერი ფორმით.

5.4. მისო აღიარებს მისი მონაწილეების მოქალაქეობრივ უფლებებს, მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას და არ ეწინააღმდეგება მათ აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში.

5.5. მონაწილემ უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე, რათა არავითარ შემთხვევაში არ დააკავშიროს მისო საკუთარ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან.

5.6. აკრძალულია მისოს ქონების გამოყენება პოლიტიკური კამპანიის საწარმოებლად.

5.7. მონაწილეებს, კანონმდებლობის ფარგლებში, უფლება აქვთ გაიღონ პერსონალური შეწირულობა ნებისმიერი პოლიტიკური კანდიდატის ან პოლიტიკური ორგანიზაციის სასარგებლოდ.

მუხლი 6. ურთიერთობა საზოგადოებასთან

6.1. მისო იმ საზოგადოების განუყოფელი ნაწილია რომელშიც ის ოპერირებს. ეყრდნობა ჯანსაღ ურთიერთობებს, რომელიც დამყარებულია პატივისცემაზე, ნდობაზე, პატიოსნებასა და სამართლიანობაზე.

6.2. მისოს მიზანია შექმნას სამუშაო ადგილები, იზრუნოს გარემოს დაცვაზე არ დააფინანსოს გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით აკრძალული საქმიანობები.

6.3. მისო ახალისებს თანამშრომლებს მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობებში და შეიტანონ წვლილი საქველმოქმედო საქმიანობაში.

6.4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მისო აქტიურად ერთვება ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებში სხვადასხვა მიმართულებით (ტურიზმი, განათლება, ახალგაზრდების მხარდაჭერა, გარემოს დაცვა, ნარჩენების მართვა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება) და გამოყოფს საკუთარ რესურსებს მათ გადასაჭრელად.

მუხლი 7. ვალდებულება მისოს წინაშე

7.1. ნებისმიერი არასაჯარო ინფორმაცია მისოს შესახებ კონფიდენციალურია და მონაწილეებს ევალებათ მისი დაცვა, მაშინაც როცა შეწყვეტენ მისოში დასაქმებას.

7.2. მონაწილეების, მომხმარებლების და მესამე პირების პერსონალური მონაცემების შეგროვება და გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაწილე ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები.

7.3. მონაწილეები სათანადოდ უნდა გაუფრთხილდენ და დაიცვან მისოს ქონება და აქტივები, დაკარგვის, ქურდობის, ბოროტად გამოყენების, დაზიანების და შემცირებისგან.

7.4. ნებისმიერი აქტივი, რომელსაც მონაწილე შექმნის მისოსათვის ან მისოს რესურსების გამოყენებით, არის მისოს საკუთრება და რჩება მის საკუთრებაში მაშინაც კი, როდესაც მონაწილე ტოვებს მისოს.

7.5. მონაწილეებმა არ უნდა:

7.5.1. მოიპარონ, დახარჯონ ან მიითვისონ მისოს ფულადი ან სხვა ფასეულობები;

7.5.2. გამოიყენონ მისოს საკანცელარიო ნივთები, კორპორატიული ნიშნები, დოკუმენტები ან მისოს სახელი უნებართვოდ;

7.5.3. გამოიყენონ არამართებულად კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები (ინტერნეტი, ელ. ფოსტა, ტელეფონი და სხვა);

7.5.4. გააკეთონ ჩანაწერები ინფორმაციის ელექტრონულ მატარებლებზე ნებართვისა და დავალების გარეშე;

7.5.5. ნებართვის გარეშე გამოიყენონ მისოს აქტივები პირადი სარგებლობისა ან/და მოგებისათვის.

7.6. ყველა მონაწილე ვალდებულია თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს. მისოს მონაწილეებმა უნდა გაიაზრონ და გაითვალისწინონ, რომ ინტერესთა კონფილქტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც მათი პირადი ინტერესები ან ქმედება ეწინააღმდეგება, ან იკვეთება მათ მოვალეობებთან. დაუშვებელია მონაწილე

დაკავდეს ისეთი საქმიანობით, რაც ხელს შეუშლის მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, წინააღმდეგობაში მოდის მისოს ინტერესებთან ან/და შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მისოს რეპუტაციაზე.

7.7. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც:

7.7.1. მონაწილე საჯაროს ხდის გარკვეული სახის ინფორმაციას მისოს შესახებ, რომელზეც აქვს წვდომა სამსახურეობრივი პოზიციიდან გამომდინარე;

7.7.2. მონაწილე ან მისი ოჯახის წევრები იღებენ არასამართლიან სარგებელს მისოში;

7.7.3. მონაწილე მომწოდებელ ან მომსახურე კომპანიებს არჩევს პირადი კავშირების საფუძველზე;

7.7.4. მონაწილე პრივილეგირებულ ან შეღავათიან მომსახურებას სთავაზობს საკუთარი ინიციატივით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც რეგულირდება ნორმატიული აქტების შესაბამისად;

7.7.5. მონაწილე მონაწილეობს ნათესავზე სესხის გაცემის პროცესში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სადაც გამოკვეთილია მისი ნათესავების/ოჯახის წევრის ინტერესი.

7.8. მისოს თანამშრომელმა არ უნდა იმოქმედოს სხვა კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ. მან უნდა შეატყობინოს მის ხელმძღვანელს ან მოითხოვოს მისი დასტური მანამდე, სანამ:

7.8.1. განიხილავს დამატებით შემოთავაზებას მისოს გარეთ მუშაობის შესახებ;

7.8.2. ჩაერთვება დამოუკიდებელ ბიზნესში;

7.8.3. შეასრულებს სამუშაოს სხვა კომპანიის სასარგებლოდ.

7.9. მისოს მონაწილეებს ეკრძალებათ ქრთმის აღება ან წახალისება, კორუფციული გარიგება, ან სხვა ამგვარი მანიპულაცია ნებისმიერი ფორმით, რასაც შეუძლია ინდივიდის, კომპანიის ან მთავრობის წარმომადგენლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა. ასევე, ღირებულების მქონე სარგებლის მიღება ნებისმიერი ფორმით, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს თანამშრომლის მიერ, მისოს სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე.

მუხლი 8. თანამშრომელთა ვალდებულება ინფორმაციის მიწოდებაზე

8.1. ყველა ხელმძღვანელი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მიერ, წინამდებარე დებულების პრინციპების შესრულებას. მისოს ყოველი თანამშრომლის მოვალეობაა დროულად აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს ან მისოს ნებისმიერ ადმინისტრატორს ისეთი ქმედებების შესახებ, როგორიც არის: თაღლითობა, ცრუ ჩანაწერი, არსებითი შეცდომა, გაფლანგვა, ცუდი ყოფაქცევა ან ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიუღებელი და ზიანის მომტანი შეიძლება იყოს მისოსათვის.

8.2. მისოს ყველა თანამშრომელი ვალდებულია მიაწოდოს ერთმანეთს, მომხმარებელს, შიდა და გარე აუდიტსა და მარეგულირებელ ორგანოებს ზუსტი და საიმედო ინფორმაცია, ასევე აწარმოოს ზუსტი და დროული ანგარიშგება.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. დებულება სავალდებულოა მისოს ყველა მონაწილისათვის. წინამდებარე დებულების დარღვევა (შეუსრულებლობა) წარმოადგენს უხეშ დარღვევას და შესაბამისი გადაცდომის შემთხვევაში, გამოიყენება ორგანიზაციის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული ან/და მატერიალური პასუხისმგებლობის ზომები.

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებიით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და მისოს სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

9.3. დებულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.

9.4. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აქციონერთა საერთო კრების მიერ მისი დამტკიცების თარიღიდან და მოქმედებს უვადოდ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: **ტარას ნიჟარაძე**

გენერალური დირექტორი: **გია პეტრიაშვილი**